ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3393545

ნომერი: AR1520685

თარიღი : 06.07.2017

გაცემის თარიღი : 14.07.2017

გაცნობის თარიღი : 14.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა დანელია პ/ნ 01008027130
- თბილისი აკ.შანიძის ქ. N 2

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. აზიმუტი კოდი: 208146095

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 დეკემბრის №1624536 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 06 ივლისს AR1520685 განცხადებით მომართა მოქალაქე ლაშა დანელიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 დეკემბრის №1624536 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 დეკემბრის №1624536 გადაწყვეტილებით, შპს „კომპანია ჯაოკენი“-ს დირექტორის ჯემალ ჯაოშვილის მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავი ქუჩა N 1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.08.036.156; ფართობი: 2714 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დღეის მდგომარეობით განმცხადებელი, შპს „კომპანია ჯეოკენი“-ის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის და თანხმობის საფუძველზე, მიწის ნაკვეთის ფართობისა და კონფიგურაციის ცვლილების გამო ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას კერძოდ, საკადასტრო გეგმა - საკადასტრო კოდი: 01.12.08.036.189 განცხადების ნომერი: 882017589402, მომზადების თარიღი: 05/07/2017 ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო ფართობი: 3087 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 დეკემბრის ივნისის №1624536 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.12.08.036.189 განცხადების ნომერი: 882017589402; მომზადების თარიღი: 05/07/2017 ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო, ფართობი: 3087 კვ.მ.) საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს: N01.12.08.036.189, ფართობი 3087 კვ.მ

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 დეკემბრის №1624536 გადაწყვეტილებასთან ერთად;

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.